თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

№2

ქ. ქუთაისი 24 მაისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	–ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ქუჩების (ჯამში 2,5 კმ–მდე) ასფალტო–ბეტონის საფარის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ (საკონკურსო განცხადების №478. 21.05.2012).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 4 (ოთხი) კონკურსანტმა: 1. შ.პ.ს ,,გეომეფი"-მ, 2. ინდ. მეწარმე ,,ბორის ქირია"-მ, 3. შ.პ.ს ,,არქმშენი"-მ და 4. შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა".

ამის შემდეგ დალუქული კონვერტები გაიხსნა კონკურსანტების თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

1. შ.პ.ს ,,გეომეფი" – 11999 (თერთმეტიათასცხრაასოთხმოცდაცხრამეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
2. ინდ. მეწარმე ,,ბორის ქირია" – 6651 (ექვსიათასექვსასორმოცდათერთმეტი) ლარი დღგ-ს გარეშე.
3. შ.პ.ს ,,არქმშენი" – 9300 (ცხრაათასსამასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
4. შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"- 9000 (ცხრაათასი) დღგ-ს გარეშე.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 24 მაისის 13:30 საათამდე პერიოდით.

საკონკურსო კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები.

შ.პ.ს „გეომეფი"–ს, შ.პ.ს „არქმშენი"-ს და შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ინდ. მეწარმე ,,ბორის ქირია"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს. კერძოდ, კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, რომლის მითითების აუცილებლობა გათვალისწინებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით და ქალაქ ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის განცხადების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესი"-ს დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე საკონკურსო კომისიამ მოახდინა ინდ. მეწარმე ,,ბორის ქირია"-ს დისკვალიფიკაცია.

ამის შემდეგ განხორციელდა დანარჩენი კონკურსანტების შეფასება.

1. შ.პ.ს ,,გეომეფი" - მიიღო 29,1 ქულა.
2. შ.პ.ს ,,არქმშენი" – მიიღო 39,5 ქულა.
3. შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"- მიიღო 36,7 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: 1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში ქუჩების (ჯამში 2,5 კმ–მდე) ასფალტო–ბეტონის საფარის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს „არქმშენი".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული

ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დავით ანდღულაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი